07.06.2016 წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №111

(კონსოლიდირებულიტენდერიCON160000004)

ერთი მხრივ - ნალტუბოს მუნიციპალიტეტი „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით, და მეორე მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის, ქუთაისის ფილიალის დირექტორის სანდრო ნერგაძის სახით (მინდობილობა №0020,გაცემული 04/01/2016წ), მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა დაპირობების, აგრეთვე „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთაგანმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“, შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთამიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“„მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითიშესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა,თვე.

1.4 „შემსყიდველი"“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებსსაქონლის შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებისფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდეროკომისია.

1.8 „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა“და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათშესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებენ 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON160000004) სატენდერო დოკუმენტაციებითა და მათი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურმაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 4(ოთხი) ცალი საბურავი, ზომით R15 195/65

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საბურავის ერთეულის ღირებულება შეადგენს 65,00 (სამოცდახუთი) ლარს.
3.2 საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.
3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 260 (ორასსამოცი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისწესი

4.1„მიმწოდებელი“ აწვდის „შემსყიდველს“ საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

4.2„მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურებისგაწევა.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ფორმდება მიღება- ჩაბარებისაქტი.

4.4 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისშემდგომ.

4.5 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. „შემსყიდველი” ორგანიზაცია ვალდებულია, „მიმწოდებლის“ მიერ საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ- ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღისვადაში.

5. მხარეთა უფლებები დაურთიერთვალდებულებები

5.1 „მიმწოდებელი“ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველაპირობა

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათაგათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურმაჩვენებლებზე.

5.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისშესრულება

5.3 „შემსყიდველი”ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულებისანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, „მიმწოდებლის“ მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისშემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემისშემთხვევაში.

5.4 „შემსყიდველი”უფლებამოსილია:

ა) „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათაგათვალისწინებით.

ბ)განახორციელოსსაბურავისინსპექტირება,რაცშეიძლებაგულისხმობდესსაბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამისექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, „მიმწოდებელს“ მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს „შემსყიდველი” ორგანიზაცია.

დ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტისმიზნით.
ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველ“ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობებისდაღვევისათვის

6.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, “შემსყიდველი” ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%.
6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, “შემსყიდველი” ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%- ისოდენობით.
6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი _შოთა ნუცუბიძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისშესახებ.
8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისშესრულებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებისდასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტისწესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკებისსაფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობისსაფუძველზე.
9.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოსკანონმდებლობით.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობისგარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა დარისკით.

10.3ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 „შემსყიდველთან“, ხოლო 1 „მიმწოდებელთან“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულენაზე.

10.4წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთამიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს2016 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები დარეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი“
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ს/კ: 221 274 546 მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის 25 ტელ: 595959064. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ: 202 177205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა.ა. GE80TB 0600 0000 2446 7853 ქუთაისის ფილიალის დირექტორი სანდრო ნერგაძე